ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2866018

ნომერი: AR1442402

თარიღი : 20.09.2016

გაცემის თარიღი : 11.10.2016

გაცნობის თარიღი : 11.10.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ბაგები , წყნეთის გზატკეცილი I გასასვლელი, N 1 / ქალაქი თბილისი , წყნეთის გზატკეცილი N19 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნიკა მერაბიშვილი პ/ნ 01017039677
- თბილისი მ.ქანთარიას ქ. N 12 ბ. 16

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 31/08/2016წ. №2807253 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს

20/09/2016წ. №AR1442402 განაცხადით მომართეს ნიკა მერაბიშვილმა, ლევან შელიამ და გიორგი მერაბიშვილმა და მოითხოვეს ამავე სამსახურის 31/08/2016წ. №2807253 ბრძანების ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის თანახმად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 31/08/2016წ. №2807253 ბრძანებით ქ. თბილისში, ბაგები, წყნეთის გზატკეცილი I გასასვლელი, №1 / ქალაქი თბილისი, წყნეთის გზატკეცილი №19, საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი: №01.14.07.004.058) შეთანხმდა მრავალფუნქციური კომპლექსის (საცხოვრებელი, კომერციული, საოფისე) არქიტექტურული პროექტი. შეთანხმებული კორექტირებული არქიტექტურული პროექტის საფუძველზე ამავე სამსახურის 13/09/2016წ. №2830735 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2016 წლის 13 სექტემბრიდან 2017 წლის 13 ივლისის ჩათვლით.
განმცხადებელთა განმარტებით, სამსახურის 31/08/2016წ. №2807253 ბრძანების ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა, კერძოდ, ავტოსადგომის, საზაფხულო, კიბის უჯრედისა და სადარბაზოსა და საცხოვრებელი ფართობები ფიქსირდება არასწორად, რაც შესაბამისად, იწვევს საერთო ფართობის მაჩვენებლის ცვლილებასაც.
წინამდებარე განაცხადით განმცხადებლებმა წარმოადგინეს გასწორებული ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები, მოითხოვეს გასწორდეს სამსახურის 31/08/2016წ. №2807253 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომა და ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლებში დაფიქსირდეს: ავტოსადგომის ფართობი (კვ.მ).:964.6; საზაფხულო ფართობი (კვ.მ).:908.90; კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი (კვ.მ).:383.70; საცხოვრებელი ფართობი (კვ.მ).:3305.3; საერთო ფართობი (კვ.მ).: 6116.90;
სამსახურმა განმცხადებელთა მოთხოვნისა და შესაბამისი სამშენებლო დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებელთა მოთხოვნა და გაასწოროს ტექნიკური შეცდომა მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,
ვბრძანებ:
1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 31/08/2016წ. №2807253 ბრძანებაში და ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლებში დაფიქსირდეს: ავტოსადგომის ფართობი (კვ.მ).:964.6; საზაფხულო ფართობი (კვ.მ).:908.90; კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი (კვ.მ).:383.70; საცხოვრებელი ფართობი (კვ.მ).:3305.3; საერთო ფართობი (კვ.მ).: 6116.90; სამსახურის 31/08/2016წ. №2807253 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 31/08/2016წ. №2807253 ბრძანებასთან ერთად.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.